

დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ პროექტების განხორციელების შესახებ წარმოდგენილი
საბოლოო ანგარიშები

ნაწილი IV

II-004

ორგანიზაცია: საგამოძიებო რეპორტინგის ასოციაცია

პროექტი: საგამოძიებო რეპორტინგის ასოციაცია

პროექტის მიზანი იყო, რომ დამწყებ ჟურნალისტებს, ასევე იმ პროფესიონალ ჟურნალისტებს ვისი პროფესიული შემართება არ შეესაბამება მათ მატერიალურ და პროფესიულ შესაძლებლობებს, მიეცეთ საშუალება აკეთონ მაღალი ხარისხის ჟურნალისტური საგამოძიებო რეპორტინგი და საკუთარი პროდუქტი გააცნონ საზოგადოებას. პროექტის მიზნების უზრუნველსაყოფად დაქირავებული იქნა ტექნიკა: კამერები, სპეციალური პორტატული განათება, სამონტაჟო კომპუტერი სპეციალური ვიდეო მაგნიტოფონი გადაღებული მასალის სამონტაჟო კომპუტერში ასატვირთად. მოწყობილ იქნა ტექნიკური ბაზა, სადაც შესაძლებელია საინფორმაციო სიუჟეტების გადაღება და გადაღებული მასალის ეთერში განსათავსებლად მომზადება.

არსებული პროექტის განხორციელების თაობაზე ინფორმაცია განთავსდა საიტზე www.politico.ge და პროექტში მონაწილეობის მსურველი ახალგაზრდა ჟურნალისტები დაბარებული იქნენ ოფისში. ყოფლეთვიურად ხორციელდებოდა აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება საიტზე.

დაკომპლექტებული ჯგუფებისთვის ჩატარდა 6 სამ დღიანი ლექცია სემინარი თემაზე “თანამედროვე ჟურნალისტიკის საფუძვლები. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ძირითადი თავისებურებები”. ვიდეო აპარატურის მოხმარების გაცნობითი კურსი. საინფორმაციო სიუჟეტის გადაღების საფუძვლები. სამონტაჟო აპარატურის გაცნობითი კურსი. საინფორმაციო სიუჟეტის მონტაჟის საფუძვლები. შერჩეულ თემებზე მოხდა პრაქტიკული კურსის გავლა, რომლის დროსაც კურსის სტუდენტებს სიუჟეტის მომზადების სრული ციკლის განხორციელების საშუალება ქონდათ. მომზადებული მასალები განთავსდა საიტზე www.politico.ge

პოექტში მონაწილე სტუდენტებს საშუალება მიეცა პროექტის განხორციელების პერიოდში გაცნობოდნენ ჟურნალისტიკის თანამედროვე მიმართულებებს, გაეღრმავებინათ ტექნიკური ცოდნა და მიღებული ცოდნის საფუძველზე გაეკეთებინათ რეალური სიუჟეტები, რომლებიც ხელმისაწვდომი გახდა საიტზე www.politico.ge.

II-005

ორგანიზაცია: Artarea TV 2.0

პროექტი: ანალიტიკური გადაცემა „თემა“

პროექტის ფარგლებში დამზადდა 16 გადაცემა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში არსებული სხვადასხვა პრობლემის საინტერესო ფორმით ანალიზს. გადაცემაში მოწვეული იყვნენ საინტერესო სტუმრები, რომლებიც პროექტის ავტორთან/წამყვანთან ნინია კაკაბაძესთან ერთად, სხვადასხვა ლიტერატურული, კინომატოგრაფიული, თუ დრამატურგიული ნაწარმოების ძირითადი თემის მიხედვით განიხილავდნენ ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს.

თითოეული გადაცემა იწერებოდა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე და ვრცელდებოდა არტარეას ინტერნეტ ტელევიზიის და სოციალური მედიის საშუალებით.

პროექტი უნდა დაწყებულიყო 2013 წლის მაისს, მაგრამ პროექტის ავტორს მოუწია საქართველოდან გამგზავრება და გადაცემების ჩაწერა დაიწყო ივნისის თვეში. ამის შესახებ პროექტის კოორდინატორს მიეწოდა ინფორმაცია და მივიღეთ მისგან დასტური პროექტის განრიგში ცვლილების შესატანად.

ივნისის თვეში დაიწყო პროექტზე მუშაობა:

1. პირველი გადაცემა სახელწოდებით „რწმენა-ცოდნა“ გავიდა 13 ივნისს. გადაცემის სტუმართეოლოგი ლევან გიგინეიშვილი. საუბარია თემაზე, თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ღმერთის რწმენამ, რომელიც არ არის დაფუძნებული ცოდნასა და განათლებაზე. ამისათვის გამოვიყენეთ რუმინელი კინორეჟისორის ქრისტინა მუნჯიუს ფილმი "გორაკებს მიღმა", რომელიც რუმინეთისა და მოლდოვის საზღვართან მდებარე მონასტერში მომხდარ მკვლევლობაზე მოგვითხრობს. ნამდვილ ამბავზე დაფუძნებული ფილმი, რომელიც საუკეთესო ილუსტრაციაა, როგორც შეიძლება იქცეს მორწმუნე მართლმადიდებელი მოძალადედ და მკვლელად. (გადაცემა შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=vRNq48SKJXl>)

2. მეორე გადაცემა სახელწოდებით „ვაწამებთ, ვუყურებთ, გვსიამოვნებს 27 ივნისს გავიდა ეთერში. გადაცემის სტუმარი- ფსიქოლოგი რუსუდან მირცხულავა, რომელიც წამების ვნებასა და წამების დაკვირვების ვნებაზე საუბრობს. ამბავი რომელიც ლაიტმოტივად გასდევს გადაცემას, ჰაინრიჰ ბიოლის ნაწარმოების მიხედვით შექმნილი ფილმი "კატერინა ბლუმის შელახული ღირსება". მოძალადე, სენსაციაზე მონადირე მედია, რომელიც უდანაშაულო ადამიანს დამნაშავედ და მკვლელად აქცევს.

ეს თემა, იმ პრიოდში აქტუალურ საკითხს, წამების კადრების მედიით ტირაჟირებას დავამთხიეთ და მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს სხვა ადამიანის პირად სივცეში შეჭრას და მის ჩვენებას და ვეცადეთ აგვეხსნა რაში მდგომარეობს ასეთი კადრების ხილვის ვნება. (გადაცემა შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=iAEd-LvUmY4>)

3. მესამე გადაცემა სახელწოდებით ჩემი სხეული მე მეკუთვნის“ გავიდა 6 ივლისს. აბორტი - ქალის უფლება თუ მკვლელობა? გადაცემის სტუმარი კინომცოდნე თეო ხატიაშვილი. საუბარია მუდმივ პოლემიკის საგანზე, უნდა იყოს თუ არა აკრძალული აბორტი. გადაცემა განხილული იყო ბრიტანელი კინორეჟისორის, მაიკ ლის ფილმის მიხედვით "ვერა დრეიკი".თეო ხატიაშვილი, როგორც გენდერის და ქალთა უფლებების სპეციალისტი პრობლემას, არა ჰუმანისტური პოზიციიდან, არამედ გენდერული კუთხით განიხილავს. (გადაცემა შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=dhrjefDrfG8>)

4. მეოთხე გადაცემა სახელწოდებით „ძალადობრივი კულტურა“ გავიდა 16 ივლისს. კულტურა, რომელიც შობს ძალადობრივ გარემოს და მოძალადეებს. სად არის პრობლემის საწყისი და ვინ არის დამნაშავე. ამ თემაზე ბლოგერი გიორგი კიკონიშვილი საუბრობს, რომელიც აღწერს საქართველოში არსებულ ძალადობრივ კულტურას, რაც საბავშვო ბაღიდან თუ ოჯახიდან აყალიბებს ადამიანს მოძალადედ. თემის უფრო გასაშლელად, გამოვიყენეთ ლუი მალის ფილმს "მშვიდობით ბავშვებო". (გადაცემა შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=Fz4TOJmQvy0>)

5. მეხუთე გადაცემა გავიდა პირველ აგვისტოს სახელწოდებით "მედია, როგორც მანიპულაციის საშუალება". გადაცემის სტუმარია მედია მკვლევარი ნინო დანელია, რომლის სადოქტორო კვლევა ეხება საბჭოთა დროინდელი პრესას. ჩვენ ვსაუბრობთ საბჭოთა კავშირში, როგორც ტოტალიტარულ სახელმწიფოში და ახლანდელ მედიაში (ამერიკულ, დასავლურ თუ ქართულს მედიაში) დემოკრატიულ ქვეყნებში მოსახლეობის მანიპულაციის მეთოდებს შორის სხვაობასა და მსგავსებაზე. საკითხის საილუსტრაციოდ ჯორჯ ორუელის რომანის მიხედვით შექმნილი ფილმი "1984" გამოვიყენეთ. (გადაცემა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=XoOWprjY2DA>)

6. მეექვსე გადაცემა სახელწოდებით "ჰომოფობია, როგორც სოციალური პრობლემა" ,13 აგვისტოს გავიდა. გადაცემის სტუმარი - იურისტი ზაია პატარაია. გადაცემაში გამოყენებულია ამერიკული ფილმი "ფილადელფია", რომელიც ყველაზე მკვეთრად წარმოაჩენს ჰომოფობიას, როგორც სოციალურ პრობლემას. გადაცემაში ასევე ვისაუბრეთ 17 მაისს თბილისში განვითარებულ მოვლენებზე - სად არის პრობლემის საწყისი და საიდან უნდა დავიწყოთ, ჰომოფობიასთან როგორც სოციალურ პრობლემასთან ბრძოლა. (გადაცემა შეგიძლიათ ნახოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=09JbP60Z3Rk>)
7. მეშვიდე გადაცემა, სახელწოდებით „ქალი საქართველოში“, გავიდა 23 აგვისტოს. გადაცემის სტუმარი - ჰაინრიკ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიუროს დირექტორი ნინო ლეჟავა. ფონდი, რომლის დაფინანსებით და ინიციატივით გამოიცა წიგნი "50 ქართველი ქალი". როგორც წიგნის, ასევე გადაცემის მიზანი იყო გვესაუბრა ქალის როლზე საქართველოში. რატომ არის ხშირად ისტორიაში ჩაკარგული ქალის ღვაწლი და სინამდვილეში რა ბიოგრაფია აქვს ქალს საქართველოს ისტორიაში. (გადაცემა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=xwSwc5RIhm0>)
8. მერვე გადაცემა სახელწოდებით „სტალინი, რომელიც არ მომკვდარა“ გავიდა 5 სექტემბერს. გადაცემის სტუმარი - ფსიქოლოგი ჯანა ჯავახიშვილი. გადაცემის თემა ეხმიანება, საქართველოში ახალ ტენდენციას, რომელიც სტალინის ჩამოხსნილი ძეგლების უკან დაბრუნებას გულისხმობს. რა არის ამის მიზეზი? და რატომ არ მოხდა აქამდე არა კონკრეტულად ერთი ადამიანის სტალინის, არამედ სტალინიზმის გადაფასება. სტალინიზმი, რომელიც მასიურ მკვლელობას, დასმენას და სხვადასხვა ტიპის ბოროტებას გულისხმობს. (გადაცემა შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე <http://www.youtube.com/watch?v=VtqvAifM-u8>)
9. მეცხრე გადაცემა სახელწოდებით სიკვდილი და სიკვდილი დერინ არონსკის ფილმში "ფანტანი" გავიდა 11 სექტემბერს. გადაცემის სტუმარია ფილოსოფოსი ლევან ღამბაშიძე, რომელიც ფილმის მიხედვით, საუბრობს და შლის თემას სიკვდილზე (<http://www.youtube.com/watch?v=shmSm7G7HcQ&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh>)
10. მეათე გადაცემა სახელწოდებით "ტელესერიალი კინოს წინააღმდეგ" არტარეას ეთერით გავრცელდა 27 სექტემბერს. ახალი ამერიკული ტელესერიალები, რომელიც მრავალი კრიტიკოსის აზრით რამდენიმე ხანში კინოს ჩანაცვლებს. ამბავი, რომელიც რამდენიმე ათეულ სერიაში ვითარდება. გადაცემის სტუმარია მსახიობი გიორგი ნაკაშიძე, რომელიც სერიალსა და კინოს შორის არსებულ სხვაობებსა და მსგავსებებზე საუბრობს. თემას, რამდენიმე კონკრეტული ამერიკული სერიალის მიხედვით განვიხილავთ (<http://www.youtube.com/watch?v=3rHkiUBSLBs&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh>)
11. მეთერთმეტე გადაცემა სახელწოდებით „მეორე წიგნი“ ეთერში გავიდა 11 ოქტომბერს. სტუმარი გოგი გვახარია საუბრობს. ფრანგ კინორეჟისორ ერიკ რომერზე. კინომცოდნე გოგი გვახარია,

რომელიც ამზადებს წიგნს მის შესახებ, გადაცემაში მოგვითხრობს რომერზე, როგორც ფრანგული სოციუმის ყველაზე ზუსტ აღმწერსა და კრიტიკოსზე. როგორია ფრანგული საზოგადოება რომერის ფილმებში (<http://www.youtube.com/watch?v=KPf4jFCSgs8&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh>)

12. მეთორმეტე გადაცემა სახელწოდებით „რას ნიშნავს და როგორია სოციალური კინო“ არტარეას ეთერით გავრცელდა 24 ოქტომბერს. გადაცემის სტუმარია დავით გაბუნია. დრამატურგი. ბრიტანული სოციალური კინო, რომელიც ზუსტად ასახავს ბრიტანულ საზოგადოებას, სოციალურად დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანები, რომელნიც აქამდე კამერის მიღმა იყვნენ. როგორი მათი ცხოვრება, რას განიცდიან და რა ახარებთ. როგორი უნდა იყოს ქართული კინო, რომელმაც მხოლოდ ახალ დაიწყო სოციალურად დაუცველი ადამიანებით დაინტერესება. (<http://www.youtube.com/watch?v=8ZYHQSbOp4k&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh>)
13. მეცამეტე გადაცემა სახელწოდებით „ძალაუფლების ნება“ არტარეას ეთერში გავიდა 8 ნოემბერს. გადაცემის სტუმარი ფილოსოფოსი თათა ცოფურაშვილი, რომელიც საუბრობს ძალაუფლებით ტკობის ვნებაზე, საქართველოს და მსოფლიო ისტორიიდან მაგალითებზე. ვინ ექცევა ძალაუფლების ვერტიკალის სათავეში. ვინ მოქმედებს ჩვენს არჩევანზე. როგორ ხდებოდა ეს საუკუნეების მანძილზე და როგორ ხდება დღეს (<http://www.youtube.com/watch?v=wn4x6bEnYz8&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh>)
14. მეთოთხმეტე გადაცემა სახელწოდებით რიჰარდ ვაგნერი და ვაგნერის სიყვარული ეთერში გადაცემაში საუბარია ვაგნერის ოპერებზე და როგორ არის გამოხატული სიყვარულის თემა ამ ოპერებში. "ტრისტანი და იზოლდა", ვაგნერის ოპერა - სადაც მთავარ და ერთადერთ თემას, სწორედ ტრისტანისა და იზოლდას სიყვარული წარმოადგენს. მუსიკა სიყვარულის ვნებით საგსე (<http://www.youtube.com/watch?v=OOa02EU1p-k&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh>)
15. მეთხუთმეტე გადაცემა სახელწოდებით სტუმარი კინომცოდნე დათო გურგენიძე. საუბრის თემა არის ამერიკელი როკ მუსიკოსი ლუ რიდი, რომელიც ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. მუსიკოსი რომელიც ცნობილია გენიალური ტექსტების ავტორი, რადიკალურად განსხვავებული სახე 60-70-იანი წლების როკ მუსიკისგან, როგორც ფორმით ასევე შინაარსით. მუსიკა, რომელიც ამ დროს არ არის დამყარებული პროტესტზე (http://www.youtube.com/watch?v=aX_Qo7rOFEM&list=PLp2cvF-2Co3CDeHW4Zl6UkVxTP2sC5Amh)
16. გადაცემის სტუმარი იურისტი, უფლებადამცველი თამარ გურჩიანი. თამარ გურჩიანის საყვარელი უფლებადამცველები რეალური და ლიტერატურული პერსონაჟები. ვინ არიან ისინი და რატომ არიან გამორჩეულნი სხვებისგან. ადვოკატი ატიკუსი, რომანიდან "ნუ მოკლავ ჯაფარას" და მაკმერფი, რომანიდან, "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა". ეს ლიტერატურული

პერსონაჟები, რომელნიც რადიკალურად განსხვავებული ფორმით და შინაარსით სხვა ადამიანების თავისუფლებას იცავენ. ასევე გადაცემაში თამარ გურჩიანმა ისაუბრა რეალურ პერსონაჟ ქალებზე, აბიგელ ადამსი, როზა პარკსი და ელეონორა რუზველტი.

ყველა გადაცემა ასევე ხელმისაწვდომია არტარეას საიტზე: <http://artarea.tv/category/45>

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის ფარგლებში შექმნილ გადაცემებს საკმაოდ დიდი ნახვა და გამომხმარებელთა ჰქონდა საზოგადოების მხრიდან. ინტერნეტ ტელევიზიის და სოციალური მედიის საშუალებით გადაცემებს აქტიურად უყურებდნენ უცხოეთში მცხოვრები ქართველებიც, რასაც არტარეას საიტის და Youtube-ის მონაცემები ცხადყოფს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან არტარეა ინტერნეტ ტელევიზიის გარდა გახდა ტელევიზია, რომელიც პირველ ეტაპზე ვრცელდება კავკასუს ონლაინის და სილქნეტის საკაბელო ტელევიზიის საშუალებით. პროექტის ფარგლებში შექმნილი გადაცემები 2014 წელს გავა არტარეას საკაბელო ტელევიზიის საშუალებით, რაც საშუალებას მოგვცემს გადაცემებში განხილული პრობლემები და საკითხები უფრო ფართონ აუდიტორიამდე მივიტანოთ.

II-006

ორგანიზაცია: მასწავლებელთა და მშობელთა ასოციაცია „ლიბერტა“

პროექტი: ოროკო

ივნისი - დეკემბერი, 2013

პროექტის „ოროკო“ მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად მიმდინარე წლის ივნისი - ნოემბრის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის საქმიანობა:

საქმიანობის დაწყებისთანავე, ივნისის თვეში, დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა დაბა ნასაკირალის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელთან, სპარტაკ გოგიტიძესთან. შეხვედრაზე მას გავაცანით პროექტის „ოროკო“ ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის შინაარსი, ამოცანები და მიზნები. ისტორიის მასწავლებელთან ერთად მოხდა პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის საორგანიზაციო საკითხების განხილვა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების საინისტროს „მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამასთან“ თანამშრომლობით, სკოლის მასწავლებელმა მოგვაწოდა დაბა ნასაკირალში, სოფელ გაღმა დვაბზუსა და სოფელ ნარუჯაში მცხოვრები მესხი მოზარდების სიები.

- **სამუშაო შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში**

6 ივნისს, ასოციაცია „ლიბერტა“-ს წევრების მიერ დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა დაბა ნასაკირალში მცხოვრებ ბექაძეების ოჯახში. შეხვედრას ესწრებოდნენ დაბა ნასაკირალში და სოფელ გაღმა დვაბზუში მცხოვრები 11-16 წლის მესხი მოზარდები, მათი მშობლები და თანაკლასელები. შეხვედრის მონაწილეებისთვის მოეწყო პროექტის ფარგლებში დაგეგმილი საქმიანობის პრეზენტაცია და მისი საჭიროების გაცნობა. მონაწილე მოზარდებთან და მშობლებთან ერთად საუბრები წარიმართა მესხების ისტორიის, მათი დღევანდელი ყოფისა და პრობლემების თაობაზე. ყურადღება გამახვილდა საქმიანობაში მშობლების აქტიური ჩართულობის საჭიროებაზე, რაც აუცილებელია სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მესხი მოზარდების ეფექტური თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის.

- **დაბა ნასაკირალში და სოფელ გაღმა დვაბზუში მცხოვრები მესხი მოზარდებისა და მათი თანაკლასელების საინიციატივო ჯგუფის ჩამოყალიბება**

პროექტის ფარგლებში დაბა ნასაკირალში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაზე ხელი შეეწყო დაბა ნასაკირალში და სოფელ გაღმა დვაბზუში მცხოვრები მესხი მოზარდებისა და მათი თანაკლასელების ერთ გუნდად შეკვრას და მოხდა მოსწავლეთა საინიციატივო ჯგუფის, „ოროკო“, ჩამოყალიბება. საინიციატივო ჯგუფის წევრებს მივაწოდეთ დეტალური ინფორმაცია პროექტის აქტივობების თაობაზე და განვუსაზღვრეთ მათი როლი მოცემული აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების პროცესში. ასოციაცია „ლიბერტა“-ს წევრების მიერ მოხდა მოზარდების გადამზადება საქმის წარმოებაში, მოხდა მათზე როლებისა და პასუხისმგებლობების თანაბრად დანაწილება.

- **სამუშაო შეხვედრა ქ. ახალციხის საგანმანათლებლო რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების დირექტორებთან**

15 ივნისს, ასოციაცია „ლიბერტას“ წევრების მიერ ქ. ახალციხეში, მოეწყო სამუშაო შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ 2 ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსები და ქ. ახალციხის იმ 6 საჯარო სკოლის დირექტორები, სადაც მესხი მოზარდები ირიცხებიან. შეხვედრის მონაწილეებს გავაცანით პროექტის შინაარსი, მიზნები და ამოცანები. რესურსცენტრების უფროსები და სკოლის დირექტორები გვესაუბრნენ მესხი მოზარდების წინაშე არსებული, მათთვის ნაცნობი, პრობლემების (დოკუმენტაციის უქონლობა, სასწავლო ვაუჩერის უქონლობა) თაობაზე. შეხვედრაზე მოწვეული სკოლის დირექტორების დახმარებით მოხდა ქ. ახალციხეში მცხოვრები მესხი მოზარდების სიების შედგენა.

- **მონაწილეების რეკრუტირება ქ. ახალციხის N1 საჯარო სკოლაში**

საგანმანათლებლო რესურსცენტრში დაგეგმილი სამუშაო შეხვედრის პარალელურად, მოეწყო „ლიბერტა“-ს წევრებისა და საინიციატივო ჯგუფის წევრების (ნასაკირალში მცხოვრები 8 მესხი და 11 აჭარელი მოზარდი) ვიზიტი ქ. ახალციხის N1 საჯარო სკოლაში, პროექტის ახალი მონაწილეების რეკრუტირებისათვის. საინიციატივო ჯგუფის წევრმა მოზარდებმა N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის ფარგლებში დაარსებული საინიციატივო ჯგუფის „ოროკოს“ საქმიანობის შესახებ და შესთავაზეს თანატოლებს საქმიანობაში ჩართვა. მოხდა პროექტის ახალი მონაწილეების შერჩევა, რომლებსაც დავალებად მიეცათ მოეძიებინათ ინფორმაცია მათ თემში მცხოვრები მესხი მოსახლეობის ისტორიის, კულტურის, ადათ-წესების, დღევანდელი ყოფასა და პრობლემების თაობაზე.

სკოლაში ვიზიტის შემდეგ დაიგეგმა მოზარდების ერთობლივი ექსკურსია რაბათის ციხეში, რითაც კიდევ უფრო მეტად შეეწყო ხელი ოზურგეთსა და ახალციხეში მცხოვრები მოზარდების გაცნობა-დამეგობრებას.

- **4 დღიანი სამუშაო შეხვედრა ქობულეთში**

საინიციატივო ჯგუფის წევრი მოზარდების გადამზადების მიზნით, 1-დან 4-ივლისამდე, მათ შევთავაზეთ 4 დღიანი ვორკშოფი ქ. ქობულეთში. 4 დღის განმავლობაში მოზარდებს შევთავაზეთ კურსი თვისებრივი კვლევის მეთოდებში, კერძოდ მოზარდებს ჩაუტარდათ ტრენინგი სიღრმისეული ინტერვიუს და ჯგუფური დისკუსიის ტექნიკებში. სამუშაო შეხვედრაზე მოხდა პროექტით გათვალისწინებული კვლევის

თემატიკის განსაზღვრა - მესხი მოზარდების განათლებასა და დასაქმების წინაშე არსებული პრობლემების გამოკვლევა. მოზარდების ჩართულობით მოხდა კითხვარის შედგენა, პილოტირება და სრულყოფა. მოზარდებმა ისწავლეს ტრანსკრიპტების მომზადებაც.

4 დღის განმავლობაში მოზარდებმა ასევე ისწავლეს ვიდეო კამერასთან მუშაობა, კერძოდ, კომპოზიციის აწყობა და კამერის გამოყენება, რასაც მომავალში ეფექტურად გამოიყენებენ პროექტის აქტივობების ამსახველი ფილმის მომზადებაში.

გარდა სემინარებისა, მოზარდებისათვის თავისუფალ დროს, შეთავაზებული იყო შემეცნებით-გასართობი პროგრამა, რომელიც მოიცავდა სპორტულ და მუსიკალურ შეჯიბრებებს, ინტელექტუალურ თამაშებს, მოზარდები გაგვყავდა ზღვაზე.

მონაწილეები: ნასაკირალში მცხოვრები 7 მესხი; ნასაკირალში მცხოვრები 1 მესხი მშობელი; იანეთში მცხოვრები 2 მესხი; ახალციხეში მცხოვრები 2 მესხი; აბასთუმანში მცხოვრები 2 მესხი; გაღმა დვაბზუმში მცხოვრები 1 მესხი; ნასაკირალში მცხოვრები 7 აჭარელი ეკომიგრანტი; ლიბერთას 5 წევრი. სულ: 27 მონაწილე

- **მესხი მოზარდების წინაშე არსებული პრობლემების კვლევა განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებით**

ქობულეთში დაგეგმილი 4 დღიანი ვორკშოფის ფარგლებში მომზადებული კითხვარის გამოყენებით, განსაზღვრული კვლევის თემატიკის შესაბამისად საინიციატივო ჯგუფის წევრების მიერ მოეწყო ფოკუსური ჯგუფების ორგანიზება რეგიონში მცხოვრები მესხი მშობლების აზრის გასაგებად, მათი შვილების განათლებასთან და დასაქმებასთან არსებული პრობლემების შესახებ. ფოკუსური ჯგუფები დაიგეგმა და ჩატარდა: 15 აგვისტოს დაბა ნასაკირალში, 29 აგვისტოს სოფელ იანეთში, 12 სექტემბერს ქ. ახალციხეში, 13 სექტემბერს სოფელ აბასთუმანში, 6 ოქტომბერს ქ. თბილისი.

კვლევამ, ერთი მხრივ მოზარდები გააერთიანა საერთო საქმის ირგვლივ, დააინტერესა ისინი, როგორც სოციოლოგიით, ისე ხალხთან ურთიერთობით და მათი პრობლემების შესწავლით, მეორე მხრივ საინტერესო გამოდგა მიღებული შედეგის თვალსაზრისით, მისცა მოზარდებს შესაძლებლობა განესაზღვრათ ახალი ამოცანები. მიღებული კვლევის შედეგების შესახებ, პრეზენტაცია მოხდა მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე.

მკვლევართა ჯგუფი: დაბა ნასაკირალში მცხოვრები 4 მესხი და 4 აჭარელი მოზარდი; ქ. ახალციხეში მცხოვრები 3 მესხი მოზარდი; სოფელ იანეთში მცხოვრები 2 მესხი მოზარდი; ქ. თბილისში მცხოვრები 2 მესხი მოზარდი; სულ 15 მონაწილე.

- **ტრენინგი ოპერატორის და მონტაჟის ხელოვნებაში-ტელეკომპანია რუსთავი 2 -ში**

საინიციატივო ჯგუფის წევრების ქ. თბილისში ფოკუს ჯგუფის ორგანიზების მიზნით ვიზიტისას, მათთვის დაიგეგმა სამუშაო შეხვედრა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში, სადაც მათ ჩაუტარდათ ლექცია ოპერატორის და მონტაჟის ხელოვნებაში. ლექციას უძღვებოდა „რუსთავი 2“-ის თანამშრომელი დევი

დევიძე. ლექციის პარალელურად, მოზარდებს საშალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ტელეკომპანიის გადასაღები პავილიონები.

მოზარდების თბილისში ვიზიტი დაემთხვა თბილისობას, ისინი დაესწრნენ თბილისობისათვის მიძღვნილ ღონისძიებებს.

- **შეჭირვებული მოხუცებულების მხარდასაჭერი სათემო აქცია**

პროექტის მონაწილე მესხი მოზარდებისა და მათი თანაკლასელების თანამშრომლობით დაიგეგმა სათემო აქციები მათ თემში მცხოვრები შეჭირვებული მოხუცებულებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდების მხარდასაჭერად. სათემო აქციის ფარგლებში მოზარდებმა მოხუცებულებსა და სსსმ მოზარდებს სურსათითა და მედიკამენტებით სავსე კალათები გადასცეს. აქციის ფარგლებში მოზარდები დაეხმარნენ სოფელ იანეთში მცხოვრებ 3 მოხუცებულსა და 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოზარდს; ქ. ახალციხის თემში მცხოვრებ 3 მოხუცებულს, 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოზარდას და 1 უფროსს; სოფელ ვალეში მცხოვრებ 1 მოხუცებულს; სოფელ კლდეში მცხოვრებ 1 მოხუცებულს.

თემში არსებული საერთო პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვამ, ხელი შეუწყო მესხ მოზარდებსა და მათ თანაკლასელებში გუნდურობის შეგრძნების გამომუშავებას. საერთო საქმის ორგანიზაციული გაერთიანებამ და სხვაზე ერთობლივად ზრუნვამ მოზარდების საქმიანობის მიღმა ურთიერთობას შეეწყო ხელი, ისევე, როგორც გაზარდა მათში ინიციატივიანობა.

აქციაში ჩართული მოზარდები:

- ქ. ახალციხის N1 სკოლის 4 მოზარდი;
- დაბა ნასაკირალში მცხოვრები 4 მესხი და 3 აჭარელი ეკომიგრანტი მოზარდი;
- სამტრედიის N3 სკოლა-12 მოსწავლე;
- ქ. თბილისში მცხოვრები 10 მესხი მოზარდი.

- **ისტორიის ლექცია ქ. ახალციხეში**

3 ნოემბერს, მესხმა მოზარდებმა (20 მონაწილე), მოისმინეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მერაბ ბერიძის ლექცია მესხების შესახებ. ისტორიის მოსმენით მოზარდები მოტივირებულნი გახდნენ მოემიებინათ მეტი ინფორმაცია, რაშიც მათ ლექტორის მიერ მითითებული და გადაცემული წიგნები და სამეცნიერო ნაშრომები დაეხმარათ. მოზარდებმა შეძლეს დისკუსიის თემატემატებით შედარებით ნაკლებად გამოკვლეული საკითხები მესხების გვარებთან და მათ სალაპარაკო ენასთან დაკავშირებით.

- **ტრენინგი მონაცემთა ანალიზში**

2-3 ნოემბერს საინიციატივო ჯგუფის „ოროკო“ წევრებს (10 მონაწილე) ჩაუტარდათ ორ დღიანი ტრენინგი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თვისებრივ ანალიზში. სამუშაო შეხვედრის დროს მოზარდებმა შეძლეს ტრანსკრიპტები ექციათ ნარატიულ ტექსტებად.

- **თბილისის გლდანის თემში მცხოვრები მოზარდებისა და მშობლების ცურვაზე შეყვანა**

ასოციაციამ „ლიბერტა“ წერილით მიმართა გლდანის საცურაო აუზს, რომლის საფუძველზეც, საცურაო აუზის ადმინისტრაცია დათანხმდა ცურვაზე, გადასახადის გარეშე შეეყვანა 17 მოზარდი და 5 მშობელი.

- **ორაგანიზაცია ECMI -ის მიერ შეთავაზებული ტრენინგი ბაკურიანში**

14-15 სექტემბერს საინიციატივო ჯგუფის „ოროკო“ წევრები (ახალციხიდან 3, ნასაკირალიდან 3, თბილისიდან 1 მონაწილე) დაპატიჟებულები იყვნენ ბაკურიანში ორაგანიზაცია ECMI-ის მიერ შეთავაზებული ტრენინგზე „საგანმანათლებლო და სათემო განვითარების შესაძლებლობები“.

- **ლოგოს დამზადება**

ნოემბრის თვეში დასრულდა საინიციატივო ჯგუფის „ოროკო“ ლოგოსა და ბეჭდის დიზაინის დამზადება. ლოგოში ასახულია ტერასები, რომლებსაც ამგვრებს ქვის კედლები. ტერასები შეფერილია 4 ფერით: მწვანე, ლურჯი, ყვითელი და წითელი. აღნიშნული ფერები დაკავშირებულია ოთხ სტიქიასთან - მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი. ტერასები ასოცირებულია საფეხურებთან, საინიციატივო ჯგუფში ახლად გაწევრიანებული პირი იმყოფება პირველ საფეხურზე, ხოლო ის ვინც ჩართული იქნება „ოროკოს“ საქმიანობაში რეგულარულად და ხანგრძლივი პერიოდით იქნება მოაზრებული ჯგუფის ყველაზე მაღალ საფეხურზე. საინიციატივო ჯგუფი წევრებს ერთმანეთისაგან გამოარჩევთ ფერადი ბენდენები.

- **ისტორიის ლექცია ქ. თბილისში**

30 ნოემბერს დაიგეგმა 20 მესხი მოზარდის ჩამოყვანა ქ. თბილისის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მათ მოისმინეს საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტის თანადირექტორის გია თარხან-მოურავის ლექცია მესხების ისტორიის, მათი გასახლებისა და რეპატრაციის საკითხების თაობაზე. მოზარდებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ შეკითხვები და მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია მესხების ისტორიიდან მათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით.

- **დასკვნითი სამუშაო შეხვედრა დაბა ბაკურიანში**

20-23 დეკემბერს დაიგეგმა პროექტის მონაწილე 40 მოზარდის სამუშაო შეხვედრა დაბა ბაკურიანში. შეხვედრას ასევე ესწრებოდა დაბა ნასაკირალში მცხოვრები მესხების თემის უფროსი რუსტამ ბექაძე და მოწვეული ისტორიკოსი კახა ბუაჩიძე. 3 დღის განმავლობაში მოხდა მოზარდებთან განხორციელებული საქმიანობის შეჯამება. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მათ მიერ პროექტის ფარგლებში ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგები. საინიციატივო ჯგუფის წევრებმა თანატოლებს გააცნეს

სოციალურ ქსელ Facebook-ში მათ მიერ შექმნილი „ოროკო“-ს ვებ-გვერდი (www.facebook.com/unionoroko), სადაც განთავსდა ინფორმაცია და ფოტოსურათები განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

მოწვეულმა ისტორიკოსმა, კახა ბუაჩიძემ, წარმოადგინა სისტემაში მოყვანილი და ქრონოლოგიურად შეჯერებული ინფორმაცია, მოზარდების მიერ პროექტის ფარგლებში, მესხების ისტორიის თაობაზე მოძიებულ ფაქტებზე დაყრდნობით.

შეხვედრაზე მოწვეულმა, დაბა ნასაკირალში მცხოვრები მესხების თემის უფროსმა, რუსტამ ბექაძემ მოზარდებს გააცნო ისტორიული ფაქტები მესხების გასახლების შესახებ.

ასოციაცია „ლიბეტა“-ს წევრების მიერ მოხდა პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შეჯამება.

- **სამუშაო შეხვედრა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში**

24 დეკემბერს დაიგეგმა მესხი მოზარდების საინიციატივო ჯგუფის წევრების სამუშაო შეხვედრა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში. შეხვედრას ესწრებოდნენ „ახალგაზრდული ინიციატივა დემოკრატიისათვის“ - პრეზიდენტი, თამარ ტარტარაშვილი საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ახალგაზრდული დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კანდელაკი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს კულტურულ-შემეცნებითი პროგრამების უფროსი თეა ყიფშიძე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო განათლებისა და ინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი მაკა შენგელია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლე ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიურობის განვითარების პროგრამის“ კოორდინატორი ლელა ცქიტიშვილი და ECMI-ის წარმომადგენელი თამარ შუბითიძე.

საინიციატივო ჯგუფის წევრებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია მათ მიერ ჩატარებული სოციალური კვლევის თაობაზე, ასევე მოაწვეს პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ამსახველი ფილმის ჩვენება.

- **არასამთავრობო ორგანიზაცია „ოროკო“-ს დაარსება**

პროექტის მონაწილე მესხი მოზარდების მიერ, 25 დეკემბერს, მოხდა არასამთავრობო ორგანიზაციის ოფიციალურად დაარსება. ორგანიზაციის მიზანია ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მესხი მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემების კვლევას, ადვოკატირებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

- **პროექტის ფარგლებში მოძიებული და დამუშავებული ინფორმაციის გაზიარება**

პროექტის დასრულების შემდეგ, 2014 წლის თებერვალში, არასამთავრობო ორგანიზაცია „ოროკო“-ს წევრების მიერ მოეწოდა სამუშაო შეხვედრა აკადემიური წრის წარმომადგენლებთან და მესხების

საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შეხვედრაზე „ოროკო“-ს წევრები წარაუდგინენ მათ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემებს. ხაზი გაესმება, რომ საქმიანობა წამოიწყოს ასოციაციის „ლიბერტა“ მიერ შემუშავებული და CIPDD-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „ოროკო“ ფარგლებში.

II-007

ორგანიზაცია: „ივერია.ბიზ

პროექტი: „ინტერნეტ-პორტალი ივერია.ბიზ www.iveria.biz

მოგეხსენებათ, რომ ააიპ ივერია.ბიზ თავის საქმიანობას შეუდგა 2013 წლის აპრილში. მთელი ამ დროის განმავლობაში, ინტერნეტ გაზეთი ივერია.ბიზ ინტენსიურად მუშაობდა. კერძოდ, 30 სხვადასხვა ავტორის მიერ მომზადდა 200-მდე ანალიტიკური სტატია, რომლებშიც განხილულია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ, ჯანდაცვისა თუ კულტურის სფეროსი მიმდინარე მოვლენები. შეიქმნა ვიდეო რუბრიკა „საუბრები პროფესიონალებთან“, სადაც ჩვენი სარედაქციო კოლეგიის წევრები ესაუბრებიან სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს დაგროვილი პრობლემებისა და ამ დარგების განვითარების გზების შესახებ. აგრეთვე შეიქმნა ვიდეო ბლოგები, სადაც ჩვენი სარედაქციო კოლეგიის წევრები (პროფესიონალი ექსპერტები) მიმოიხილავენ მიმდინარე პროცესებს და მაყურებელს მიმდინარე მოვლენების ამომწურავ ანალიზს აწვდიან. ამავე სარედაქციო კოლეგიის წევრების მიერ ჩატარდა რამდენიმე ლექცია-სემინარი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის.

თავისი რვათვიანი საქმიანობის შედეგად ინტერნეტ გაზეთმა ივერია.ბიზ-მა თავისი ერთგული მკითხველი და მაყურებელი გაიჩინა. ვფიქრობთ, ჩვენი ექსპერტების პროფესიონალიზმისა და საქმიანობის შედეგია, რომ ისინი ხშირად არიან მიწვეულნი სხვადასხვა მედია საშუალებებში და მათი აზრი აინტერესებს ფართო საზოგადოებას.